ა(ა)იპ - ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი

აპრილი, 2013 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლების ინტეგრირების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა თანხმდებიან თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- სტუდენტთა პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას კვლევისა და განათლებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს:

- ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სამუსიკო სკოლის დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით, საკონცერტო დარბაზის გამოყენებას რეპეტიციებისა და სასწავლო შემოქმედებითი პროექტების განხორციელებისათვის.
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

1.3. ხელოვნების უნივერსიტეტის ხელს შეუწყობს ხელოვნების სკოლას:

- უნივერსიტეტის შენობაში განახორციელოს შემოქმედებითი პროექტები, სასწავლო-სამეცნიერო სემინარები და სხვა ღონისძიებები.
- ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები (რეჟისორები, მხატვრები, დიზაინერები) საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექციის მომართვის საფუძველზე ანაზღაურების გარეშე დახმარებას და კონსულტაციებს გაუწევენ სკოლას (გამოფენის მომზადება, მოსწავლეთა თეატრალიზებული წარმოდგენა, ვიდეოგადაღება, კონცერტის, კონკურსის რეჟისურა და სხვ.) შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და ჩატარებაში.

1.4. განახორციელებენ ერთობლივ სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს, საკონცერტო წარმოდგენებს და სხვა შემოქმედებით პროექტებს.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების
სკოლის დირექტორი — ნ. ოგანეზოვა

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია